

ვილჰელმ ჯოჯუა

ძველი საქართველოს გეოგრაფიულ სახელთა
გაღმომცემისათვის ბერძენ ავტორებთან

ქართველ ტომთა კონტაქტები ბერძნულ სამყაროსთან ათასწლეულებს ითვლის. ჯერ კიდევ ე. წ. მიკენურ ეპოქაში აწყობდნენ აქაველები შორეულ ლაშქრობებს. სწორედ მაშინ გაეცნენ ისინი კოლხეთს, რომლის სიამდიდრეც იზიდავდა მათ, მაგრამ იმდროინდელი კონტაქტები არარეგულარული იყო. „დიდი ბერძნული კოლონიზაციის“ დროიდან (ძვ. წ. VIII — VI სს.) გეგესური სამყარო მჭიდროდ დაუკავშირდა კოლხურს. დღეს შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილში ელინთა დასახლებანი უჭვს არ იწყევს. ფსევდო-სკილასი, პომპონიუს მელა, არიანე და სხვები იხსენიებენ ბერძენთა (მილეტელთა) ახალშენებს კოლხეთის სანაპიროზე. მილეტელთა გარკვეული ნაწილის გადასახლება მშობლიური ადგილებიდან შავიზღვისპირეთში შეპირობებელი იყო ადგილობრივი ცხოვრებისეული სიძნელეებითა და ახალი *πατρις* -ის შეძენის სურვილით. როგორც ლიტერატურული ტრადიციების, ისე არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ, რომ კოლხეთში ბერძენთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ცხოვრობდა¹. ამასთან, ბერძნულმა კოლონიზაციამ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა დამხედური მოსახლეობის წეს-ჩვეულებებში. ძვ. წ. V საუკუნიდან კოლხეთის უმადლეს არისტოკრატიაში ბერძნული ენა იკიდებს ფეხს. მაგრამ, მიუხედავად ბერძნული სამყაროს ძლიერი კულტურული გავლენისა, კოლხეთმა, მკვლევართა აზრით, შეინარჩუნა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თვითმყოფი კულტურა, ხოლო ადგილობრივი კულტურული ტრადიცია დარჩა წამყვან ძალად. არქეოლოგიურივე მასალები ამტკიცებს კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მაღალ დონეს. კულტურული თვალსაზრისით განვითარებულმა ადგილობრივმა მოსახლეობამ მნიშვნელო-

1 О. Д. Лордкипанидзе, К проблеме греческой колонизации Восточного Причерноморья (Колхиды): сб.: «Проблема греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья, Тбилиси, 1979, с. 198.

ვანი როლი შეასრულა კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების დაარსებასა და განვითარებაში.²

ხანგრძლივ და ინტენსიურ ურთიერთობათა შედეგად ანტიკური სამყარო ეცნობა და ბევრს აგებს ქართველურ ტომთა, მათი წეს-ჩვეულებებისა თუ ტრადიციების შესახებ. და თუ კოლხეთის შესახებ აღრიხნდელ ავტორთა თხზულებებში ჭარბობს მითური ელემენტი, ელინურ ეპოქაში აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი უკვე აღარ იყო იდუმალებით მოცული საოცნებო ქვეყანა. ამ დროიდან მოყოლებული, ბერძენთა ცაობებიც (ჰეროდოტე, ფსევდო-სკილაქსი, ქსენოფონტე, არისტოტელე და სხვ.) უფრო სანდო ხდება. ყველაზე ფსევდო-ფსევდო-სკილაქსის ცნობები. მისი „პერიპლუსი“ ათენელ ვაჭართა და ნესლეაურთათვის იყო შედგენილი ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევარში უფრო აღრიხნდელი წყაროების საფუძველზე³. სავსებით გასაგება, თუ რა ინფორმაციის შემცველი უნდა ყოფილიყო აღნიშნული წყარო: ჩამოსულ ბერძენს უნდა სცოდნოდა, თუ რომელ ნავსადგურში შეეძლო მოხვედრა და რა მოსახლეობა დახვდებოდა იქ.

კოლხეთის შავიზღვისპირეთში დაარსებული ბერძნული ახალშენები, ჩამოსულთა ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, ბერძენთა დაინტერესება კოლხეთის სიმდიდრით და ამ დაინტერესების შედეგი — ინტენსიური აღებმაცემობის გასაჩაღებლად ქალაქების განვითარება — არ შეიძლებოდა არ ასახულიყო ადგილობრივ ტოპონიმიაში, ვინაიდან ხშირად სწორედ ადგილთა სახელები მიუთითებს მცხოვრებთა ეთნოსზე.

ძველ ბერძენთა მიერ დასახელებული ტოპონიმები თუ პიდრონიმები, მოუხედავად ანტიკური ხანის ავტორთა ცნობების სიმწირისა და მნიშვნელოვანი ხარვეზებისა მათს მონაცემებში, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოზე, ადგილობრივ ტოპონიმებსა თუ უცხოელთა მიერ დარქმეულ გეოგრაფიულ სახელებზე.

² Г. А. Меликшвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 158; მ. ინაძე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI/2, 1962, გვ. 205—226; ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, იბ., 1962, გვ. 61; О. Д. Лордкипანიдзе, Античный мир и древняя Колхида, Тб., 1966, გვ. 30 და შდ.; М. П. Инадзе, Причерноморские города древней Колхиды, Тб., 1968 და ა. შ.

³ ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსიდან“ ამოკრებილი ცნობები ქართველ ტომთა შესახებ ნართელად თარგმნა და სათანადო კრცელი კომენტარი დაურთო ნ. ლომოური (ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ: მსკ, ნაკვ. 35, იბ., 1963 წ.); ფსევდო-სკილაქსის „პერიპლუსის“ დრამატენები თარგმანიდა და კომენტარებით გამოაქვეყნა თ. ყაუხჩია შვილიშა (იბ. „ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“, 4, იბ., 1967).

ჩვენი მიზანია, შეძლებისდაგვარად თვალი ვავადევნოთ იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბერძნულ დასახლებათა ზეგავლენა ადგილობრივ სახელწოდებებზე, რას და როგორ გადმოსცემდნენ ბერძნები, რომელ ობიექტს არქმევდნენ ან უცვლიდნენ სახელს, რით არის შეპირობებული ქართულ ტოპონიმთა გარკვეული ცვლილებები და ა. შ.

ამასთანავე, ბერძნების მიერ უცხოენოვანი საკუთარი სახელების გადმოცემის შესწავლისას საჭიროა სიფრთხილე და სხვადასხვა მომენტის გათვალისწინება.

ბერძენ ავტორებთან ფიქსირებულ ქართულ გეოგრაფიულ სახელთა შესწავლისას, პირველ ყოვლისა, უნდა გაიმიჯნოს რეალური და გამოგონილი გეოგრაფიული სახელები. ე. წ. გამოგონილი სახელებია **ტინდარიდა**, **კირკეუმი** (პლინიუს უფროსი, ძვ. წ. I ს.), რომლებიც, ზოგი მეცნიერის აზრით, მითური სახელებია. ასევე არარეალური, გამოგონილი ჩანს ტოპონიმი **სიბარისი** — **Σιβαρις**, რომელსაც მხოლოდ დიოდორე სიცილიელი (ძვ. წ. I ს.) იხსენიებს, სხვა ავტორთან კი არ გვხვდება და არც ქართულ ონომასტიკონში ეძებნება წესატყვისი. სავარაუდოა, რომ კოლხეთის, როგორც ზღაპრულად მდიდარი ქვეყნის შესახებ არსებულ ცნობებზე დაყრდნობით უწოდა ავტორმა ერთერთ ქალაქს **სიბარისი**, რითაც სახელწოდებას მიანიჭა ფუფუნების, განცხრომის მნიშვნელობა (**Σιβαρις**, გადატანითი მნიშვნელობით — „ფუფუნება“, „განცხრომა“).

ქართულმა გეოგრაფიულმა სახელებმა ბერძნულში გარკვეული ცვლილება განიცადეს. ამის მიზეზი კი სხვადასხვაა: ჯერ ერთი, ბერძენი ავტორები ყოველთვის კრიტიკულად როდი უდგებოდნენ სხვადასხვა დროის წყაროებს, რამაც შეაპირობა ზოგიერთი შეცდომა ამა თუ იმ გეოგრაფიული სახელწოდების გადმოცემისას; გარდა ამისა, ბერძნისათვის უცხო სახელის აღქმა და ბერძნულის შეზღუდული შესაძლებლობანი ქართული ფონემების გადმოსაცემად თავის დაღს ასვამდა ადგილობრივ სახელწოდებებს. ვასათვალისწინებელია ისიც, რომ „...სხვადასხვა სისტემის დამწერლობით გადმოცემული საკუთარი სახელები ნაკლებად ემორჩილებიან იმ კანონზომიერებას, რაც სხვა რიგის სიტყვებში და, კერძოდ, არასაკუთარ სახელებშია ხოლმე დატული“⁴.

ბერძნულ წყაროებში, როგორც წესი, დასახელებულია სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები და ის ტომები, რომლებიც მო-

⁴ თ. ყაუხჩიშვილი, კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით, 2. პენიონები: „მაცნე“, ისტორიის სერია, 1980, № 4.

ცემულ ეპოქაში გარკვეულ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ. აქედან გამომდინარე, რომელიმე ობიექტის მოუხსენიებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის არარსებობას.

საანალიზო მასალა გვიჩვენებს, რომ ძველი ავტორები უმეტეს შემთხვევაში ადგილობრივ, ე. ი. ქართულ სახელწოდებებს „უცვლელად“ გადმოსცემდნენ, აქვე აღვნიშნავთ, რომ „უცვლელად გადმოცემა“ გულისხმობს გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებებს, ვინაიდან ქართული ფონემები არ ემთხვევა ბერძნულს.

რაკი ქართულ ფონემას ყოველთვის არ ეძებნება შესატყვისი ბერძნულში, საკუთარი სახელი ვანიცდის ფონეტიკურ ადაპტაციას.

ქართულ ხმოვნებს (ა, ე, ი, ო, უ) ბერძნულში ძირითადად მართივი ხმოვნები შეესატყვისება, იშვიათად — დიფთონგი; უფრო რთულადაა საქმე თანხმოვნებთან. ქართული ბგერები ბერძნებშია გადმოსცეს შემდეგი ფონემებით:

ზ—ჯ ალაზანი—*Ἀλαζάνης*
 შ—ც შორაპანი—*Σόραπανά//Σαραπανά*
 თ—ტ თელავი—*Τήλαβα* (თუმცა ქართული თ-ს შესატყვისია ბერძნული Θ); ქუთაისი—*Κουταΐσιον*
 ფ—ფ ფაზისი—*Φάϊσις*

ქართულ ვ-ს ბერძენი ხან β-თი გადმოსცემდა და ხანაც — ოს-თი: თელავი—*Τήλαβα*, სვანეთი—*Σουανία*, სვირი—*Σβίρις*.

როგორც ვხედავთ, ქართული ბგერები მსგავსი უღერადობის ბერძნული ფონემებითაა გადმოცემული.

გარკვეული სიორთულის წინაშე იდგა ბერძენი, როცა აფრიკატების (ჭ, ც, წ, ჩ, ქ) შემცველ სახელთა გადმოცემა სჭირდებოდა. საანალიზო მასალა გვიჩვენებს, რომ მათ გადმოსაცემად ბერძნები იყენებდნენ ხან მარტივ σ, ζ თანხმოვნებს, ხანაც — გაორმაგებულს—σσ, მოგვიანებით კი—τζ კომპლექსს მიმართეს:

წიწამური—*Σεσσάμυρα//Σεισάμυρα*
 არტანუჯი—*Ἀρτάνουσα*
 არმაზციხე—*Ἀρμαζίχη*
 წებელდა—*Τζέβιლδα*
 ჭანჭახი—*Τζანჯახას*
 ჭანეთი—*Τζანეთი*

სახელწოდებებს თავკიდურ პოზიციაში თანხმოვანთა შესაყართან, რაც ბერძნულისათვის არ არის დამახასიათებელი, შეიმჩნევა თანხმოვანთა შორის ხმოვნის ჩამატება:

თფილისი—*Τίφιλის*
 მცხეთა—*Μεσχηθა*

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ფონემატური ადაპტაცი-
ის წესის მიხედვით, ბერძნულმა ქართულ ტოპონიმთა ფონემური შე-
დგენილობა შეუთავსა თავის ბგერითს სისტემას. ამდენად, საკუთარ
სახელებში დადასტურებული უმნიშვნელო ცვლილებები გამოწვეუ-
ლია მიმღები (ე. ი. ბერძნული) ენის თავისებურებით.

საკუთარი სახელები, ფონეტიკურთან ერთად, მორფოლოგიურ
ადაპტაციასაც განიცდიან. ვერც ქართული ტოპონიმები გადაურჩნენ
ამ პროცესს. ბერძნულმა ქართულ ტოპონიმებს ჩამოაცილა ქართული
სახელობითი ბრუნვის ნაშანი -ი და შეცვალა იგი მისი ტოლფარდი
ფორმანტი: ᾿Αραγα — არაგვი, ᾿Αλαζάνια — ალაზანი, Κουταρίσιον —
ქუთაისი...

ზოგჯერ ფონეტიკური მსგავსებია ნადავზე ბერძნები უცხო
ტოპონიმებს აკავშირებდნენ ნაცნობ სიტყვებთან. ამასთან დაკავში-
რებით ვ. ნიკონოვი შენიშნავს (მოგვეყვას ქართული თარგმანი): გამო-
რიცხული არ არის, რომ ჰეროდოტეს მიერ დასახელებული გამჭვირ-
ვალე ეტროლოგია მქონე სახელწოდებები ჩვენი ქვეყნის მდინარე-
ებისა და ხალხებისა ნაწილად სახელწოდებათა თარგმანებს კი არ
წარმოადგენდნენ, როგორც ამას ვარაუდობენ, არამედ ბერძნულ სიტ-
ყვებთან მათი გარეგნული მსგავსების ნიადაგზე გადააზრებულ სახელ-
წოდებებს⁵, ამდენად, ბერძნული ელერადობის მქონე ქართულ სახელ-
წოდებას, რომელიც გვხვდება ანტიკური ხანის ავტორებთან, შეიძ-
ლება არაფერი ჰქონდეს საერთო ბერძნულთან. ჩვენ ვიზიარებთ იმ
შეცნიერთა (ს. ჯანაშია, ლ. სოლოვიოვი, თ. მიქელაძე, ი. შენგელია)
აზრს, რომლებიც დიოსკურიას ადგილობრივ სახელწოდებად მიიჩნე-
ვენ⁶. მისი დაკავშირება მითოლოგიურ დიოსკურებთან დამაჯერებელი
არა ჩანს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადგილობრივი მაღალი
კულტურის ხალხით დასახლებულ ქალაქს არ შეიძლებოდა არ ჰქო-
ნოდა სახელი და ჩამოსულ ბერძნებს არ დასჭირდებოდათ მისთვის
სახელის დარქმევა.

ადგილობრივი სახელწოდების ფონეტიკურმა მსგავსებამ მითური
დიოსკურების სახელთან ბერძნებს აღუძრა აზრი, ამ ქალაქის დაარ-
სება დიოსკურებისათვის მიეწერათ.

რამდენიმე სიტყვა ტოპონიმ ზოასზე (Βόας). პროკოპი კესარიელი
ზოასს უწოდებს ხან ჭოროხს, ხანაც მდ. ფასისს. სამეცნიერო ლიტე-

⁵ В. А. Никонов, Введение в топонимику, Москва, 1965, с. 131.

⁶ ს. ჯანაშია, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 16; Л. Н. Соловьев, Диоскурия-Севастопольс-Пхуми: Труды Абхазского гос. музея, I, 1947, გვ. 117; თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვის-
პირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 107 და შმდ.; И. Г. Шенгелия, К вопросу о топониме Диоскуриады: Сбм, XXX, № 6, 1963, გვ. 826.

რატურაში ბერძნული **ბოასი** მიჩნეულია **ყვირილა**-ს სემანტიკურ შესატყვისად (**Βοάω** „ყვირი“)? პროკოპი კესარიელის გარდა, მღ. ჭოროზს **ბოასით** მოიხსენიებენ პლინიუსი და არიანე. ეს კი ეჭვს ბადებს, რომ **ბოასი** არ არის **ყვირილის** ბერძნული თარგმანი. თანაც, ძნელი სათქმელია, როგორ წარმოითქმოდა მდინარის სახელწოდება (**ყვირილა**) მე-ნ საუკუნეში. იქნებ უფრო მართებული იქნებოდა ტოპონიმ (პიდრონიმ) **ბოასის** მიჩნევა ადგილობრივ სახელწოდებად, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ბერძნულ **βοάω** ზმნასთან (= „ყვირი“). ანალოგიურად, არცთუ დამაჯერებელია პიდრონიმ **ყვირილა**-ს დაცავ-შირება მასდარულ **ყვირილ**- ფორმასთან.

გამკვირვალე ეტიმოლოგის მქონე რამდენიმე ტოპონიმი ბერძნებმა თარგმნეს. მაგ.: **ვარდციხე** — **Ροδῆσις**, **ცხენისწყალი** — **Ἰππος**, **ყველისციხე** — **Τυρναραειν**.

ზოგჯერ ბერძნები თვითონვე არქმევდნენ სახელს ამა თუ იმ ობიექტს. მოცემული მასალა გვიჩვენებს, რომ მსგავს მოვლენათან იშვიათად გვაქვს საქმე და, ამისთანავე, ისინი ძირითადად ციხესიმაგრეთა სახელებია (იმ ციხესიმაგრეებისა, თავად ბერძნებს რომ აუშენებიათ): **Σατηριώσις** — „გადამრჩენი ქალაქი“, **Βουργουσινή** — „ახალი სიმაგრე“, **Σεβαστοπιλις** — „წმინდა ქალაქი“, **Πετρα** — „ქვისა“, „კლდანი“.

ბერძენთა მიერ დატყვევებული სახელები ვერ იგუა ქართულმა ონომასტიკონმა და ისინი დავიწყებას მიეცა.

ბერძნულ წყაროებში დასახელებულ ტოპონიმთა უმეტესობას შესატყვისი ეძებნება თანამედროვე ქართულ სინამდვილეში, ზოგი კი აღარ გამოიყენება (**Νιτικῆς**, **Δοχωνός**, **Νέσωνας**, **Λίχος**, **Γλαχικός**...).

შეგვიძლია დავასკვნათ: საქართველოს ტოპონიმთა უმრავლესობა დიდი მღვრადობით გამოირჩევა; ნაწილმა ფონეტიკური თუ მორფოლოგიური ადაპტაცია განიცადა; დასასრულ, ბერძენმა კოლონისტებმა ვერ დატოვეს საგრძნობი კვალი ქართულ ტოპონიმიაში.

⁷ ს. ყ ა ლ ხ ი ნ ი ვ ი ლ ი, გორგია, II, თბ., 1965, გვ. 109.

⁸ В. Ф. Гайдукевич, Боспорское царство, М.—Л., 1949; А. А. Маслеников, К Боспорской топонимике; сб.: Проблемы греческой колонизации Причерноморья, Тб., 1979, с. 138—139 («Среди дошедших до нас 39 названий 35 городов, существовавших в VI—I вв. до н. э., 24 имеют определенно греческое происхождение и по меньшей мере 15 — варварское»).